

## რა შეცდომა დაუშვა ლადო გურგენიძემ ბაკრემიერებისას?

გაზეთი “კვირის ქრონიკა”, 3-9 დეკემბერი, № 47 (310), 2007

ლადო გურგენიძე ჯერ პრემიერ-მინისტრის პოსტზე არც იყო დამტკიცებული, როდესაც „ქრონიკამ“ მის პერსონაზე ინფორმაციები მოიძია და სტატია გამოაქვეყნა. აღნიშნულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ პარლამენტის წევრს და ეკონომიკურ ექსპერტს ლადო პაპავას დაგვაავირობოდით და მისი პოზიციაც დაგვეფიქსირებინა. ასეც მოვიქვეცი, ჩვენ მიერ მოძიებულ ნომერზე დავრეკეთ და პასუხად გეთხრეს, რომ ხელახლა გადაგვერეკა მასთან და მერე დაგვესვა შეკითხვა. თუმცა, მოგვიანებით ჩვენს ზარებზე ყურმილი არავის აუღია.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ლადო პაპავა რედაქციას დაუკავშირდა და გვითხრა, რომ მასთან არავის დაურეკავს და შეცდომით სხვასთან დავრეკეთ. მან გაზეთი „ქრონიკისადმი“ სიმპატია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ არა ტექნიკური შეცდომა, ის მზად იყო მაშინვე ეპასუხა რედაქციის შეკითხვებზე.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე ლადო პაპავამ სურვილი გამოთქვა პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძესთან დაკავშირებით, უფრო ვრცლად ესაუბრა, ვიდრე ეს სატელეფონო საუბარში იქნებოდა შესაძლებელი.

რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა, რომ მოგვესმინა ლადო პაპავასთვის, მით უფრო, რომ მისი შეფასებები საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა.

**ლადო პაპავა, პარლამენტის წევრი და ეკონომიკის ექსპერტი:**

– ლადო გურგენიძეს ვიცნობ 1994 წლიდან, როგორც კარგ ანალიტიკოს-მკვლევარს და კარგ გამოცდილ მენეჯერს. „საქართველოს ბანკი“ მან ერთ-ერთ ძლიერ ბანკად აქცია, თუნდაც იმიტომ რომ მოახერხა საკუთარი აქციების გაყიდვა ლონდონის ბირჟაზე.

– სხვათაშორის ლონდონის ბირჟაზე საქართველოს ბანკის აქციების გაყიდვა დღემდე სადაო ხდება ექსპერტთა შორის. ზოგიერთი ექსპერტი

თვლის, რომ ლადო გურგენიძემ აქციები კი არ გაყიდა, არამედ დიდი ფინანსური აფიორა დაატრიალა. თქვენ რა იცით კონკრეტულად ამ ფაქტის შესახებ?

– გეტყვით გულახდილად. ნამდვილად არ ვარ დეტალურად ინფორმირებული რა მოხდა ლონდონის ბირჟაზე. მე ერთი რამ ვიცი, რომ ლონდონის ბირჟა არის საკმაოდ სოლიდური ინსტიტუტი და იქ ასეთი აფიორის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. ის ექსპერტები რომლებიც აფიორაზე საუბრობენ, შესაძლოა მათ ჰქონდეთ რაიმე დამატებითი ინფორმაცია, დოკუმენტაცია რის საფუძველზეც ამგვარ განცხადებას აკეთებენ. თუმცა, მე მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ლონდონის ბირჟაზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ერთერთმა ბანკმა, რომლის შესახებ მსოფლიოს დიდმა ნაწილმა არაფერი იცის, შეძლოს ამხელა აფიორის დატრიალება.

– კარგით, ცოტა ხნით დავივიწყოთ ლონდონის ბირჟა და ვისაუბროთ თვითონ ლადო გურგენიძის პერსონაზე, როგორც პრემიერ-მინისტრზე. პოსტზე დამტკიცების შემდეგ მან ისაუბრა იმ გეგმებზე თუ რას იზამს 2010 წლის ჩათვლით. ანუ მას გეგმაში აქვს რამდენიმე წელი იყოს პრემიერ-მინისტრი. თქვენ როგორ შეაფასებდით მის ფიგურას, ის რამდენად კარგი პრემიერ-მინისტრი იქნება ქვეყნისთვის?

– როდესაც პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაასახელა ლადო გურგენიძის კანდიდატურა, გამიხარდა, რადგან ამ ადამიანს მხოლოდ დადებითი კუთხით ვიცნობ. მაგრამ ვფიქრობ, რომ მან უკვე წაგებული თამაში დაიწყო, რადგანაც, ჯერ-ერთი, პოლიტიკურად ცუდ დროს მოვიდა დიდ პოლიტიკაში და თანაც არ შეაცვლევინეს სამთავრობო გუნდი. ვთვლი, რომ მან ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან. როდესაც შესთავაზეს პრემიერის პოსტი, მას პრინციპულად უნდა დაესვა პრეზიდენტისთვის რამდენიმე მინისტრის შეცვლის საკითხი. ახლა დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია და მიხეილ სააკაშვილს აშკარად ხელს შეუშლის ის არაპოპულიარული სახეები რომლებიც მთავრობაში (მის გუნდზე რომ არაფერი ვთქვათ) ჯერ კიდევ არიან. ერთერთი ასეთი სახე უეჭველად კახა ბენდუქიძეა.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ლადო გურგენიძემ მოსთხოვა პრესიდენტს ბენდუქიძის შეცვლა და სააკაშვილმა არ დაუკმაყოფილა პრემიერს ეს მოთხოვნა თუ არც გურგენიძეს მოუთხოვია?

– პარლამენტის სხდომაზე მე ახალ პრემიერ-მინისტრს შევეკითხე იმის შესახებ, ხომ არ ჰქონია სურვილი და მცდელობა მთავრობის ეკონომიკურ ბლოკში უშუალოდ მისი გუნდის წევრები მოეყვანა, რაზეც მან მიპასუხა, რომ მას მოსწონს ეს ბლოკი და მასში ცვლილებებს მხოლოდ მოგვიანებით შეიტანს: თუ რომელიმე მინისტრი ვერ გაამართლებს – მას შეცვლის. მაშასადამე, ლადო გურგენიძესთვის მისდებია კახა ბენდუქიძესთან მუშაობა, მაგრამ ვთვლი რომ ეს მისთვის და, რაც მთავარია, ქვეყნისათვის იქნება წამგებიანი. ამასთან ერთად, გურგენიძის დამოკიდებულება ბენდუქიძისადმი იმის დამადასტურებელიცაა, რომ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში სასიკეთო ძვრებს ნამდვილად არ უნდა ველოდოთ... ისიც საყურადღებოა, რომ გურგენიძე ვერ შეძლებს გამოასწოროს ბენდუქიძის უარყოფითი იმიჯი, რომელიც დამკვიდრებულია საზოგადოებაში. ნოღაიდელის მთავრობაში სულ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბენდუქიძე ცალკე დამოუკიდებელ თამაშს თამაშობდა. გურგენიძე არ არის მარტივი ფიგურა, თუმცა ვეჭვობ, რომ ბენდუქიძემ შეცვალოს თავისი სტილი.

– და რა მოხდება, ბენდუქიძე და გურგენიძე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს?

– მოდით ნუ ვიმარჩიელებთ: შესაზლოა ასეთი დაპირისპირება საერთოდ არც კი მოხდეს და “გუგულებივით” შესმატკბილებულად იმოღვაწონ ერთად.

– კარგით, მაშინ მითხარით ვინ არის რეალურად კახა ბენდუქიძე?

– ერთი უპორტფელო, მაგარამ ძალზედ გავლენიანი მინისტრი, რუსული ოლიგარქიული წარსულით.

– რომელსაც პრეზიდენტმა პრემიერზე მეტი უფლებები მიანიჭა. დანიშნა ბარემ პრემიერ-მინისტრის პოსტზე. რატომ არ დანიშნა?

– წარმოდგინეთ, მაშინ საზოგადოებაში რამხელა პროტესტი იქნებოდა. გურგენიძე ზრდილობიანი და სასიამოვნო გარეგნობის ადამიანია, საკმაოდ კარგ ოჯახშია გაზრდილი და როგორც არ უნდა გაცხარდეს, საკუთარ თავს გინების უფლებას არ მისცემს. ბენდუქიძეს უფრო უჭირს ზრდილობიანად მოქცევა, მისთვის გინება უფრო მისაღებია. ბენდუქიძის დამსახურებაა ნოღაიდელის მთავრობაში იმ სტილის დანერგვა, თუ ვინ უფრო უზრდელი და უხეში იქნებოდა, რასაც ზოგიერთი სხვა მინისტრიც პერიოდულად არც თუ წარუმატებლად ართმევდა თავს. მე არ ვიცი გურგენიძეს ამ პრაქტიკის შეცვლას მოახერხებს თუ არა, მაგრამ გურგენიძე შესაძლოა მთავრობაში აღმოჩნდეს მხოლოდ ფასადი, რადგან მისი მოსმენა საზოგადოებისათვის ბევრად უფრო მისაღები იქნება ვიდრე ბენდუქიძის.

– ბატონო ლადო, ზურაბ ჟვანია რომ ცოცხალი იყოს, რა გავლენები ექნებოდა კახა ბენდუქიძეს მთავრობაში?

– ძალიან საინტერესო შეკითხვა დასვით... ზურა ჟვანიას დროს კახა ბენდუქიძე იყო ეკონომიკური განვითარების მინისტრი, მაგრამ ზურაბმა ის “ჩააჩოჩა” და რეფორმების დარგში უპორტუგელო მინისტრად დანიშნა. ეს შესაძლოა იყო ბენდუქიძის თანდათანობით მოშორების გზა: ვფიქრობთ თავიდანვე ერთი ხელის მოსმით რომ გაეშვა უხერხული იქნებოდა, ამიტომ ნელნელა სცადა მისი ჩამოშორება.

– და ჟვანია ცოცხალი რომ ყოფილიყო ბენდუქიძეს ამხელა უფლებები არ ექნებოდა?

– მოდით სხვანაირად გეტყვი, ზურაბ ჟვანია ცოცხალი რომ ყოფილიყო და თანაც კვლავ ემოქმედა პრემიერ-მინისტრის რანგში, მე ვფიქრობ, ბენდუქიძე უკვე დიდი ხანია არ იქნებოდა მთავრობაში. საერთოდ ზურაბ ჟვანია ცოცხალი რომ ყოფილიყო ალბათ არც ნოემბრის მოვლენები არ

მხედებოდა და ვფიქრობ, რომ პოლიტიკური სიტუაციაც ბევრად სტაბილური იქნებოდა, ვიდრე არის. ის ახალგაზრდა იყო, მაგრამ პოლიტიკურად ძალიან გამობრძედილი. ალბათ არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ცოცხალი ზურაბ ჟვანია შესაძლოა უკვე კარგა ხნის წინ გამხდარიყო ოპოზიციის ერთ-ერთი ძლიერი ლიდერი..., თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია.

**ჯილდა მაჭავარიანი**